

L2

ევროკოდები: მომზადება

ევროკოდები

ევროკოდები არის ევროპული სტანდარტების კრებული შენობებისა და ნაგებობების დაპროექტებისათვის, სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებისათვის და სამშენებლო მასალებისათვის.

EN 1990	ევროკოდი: კონსტრუქციული დაპროექტების საფუძველები
N 1991	ევროკოდი1: კონსტრუქციებზე ზემოქმედება
EN 1992	ევროკოდი 2 : ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1993	ევროკოდი 3: ფოლადის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1994	ევროკოდი 4: კომპოზიციური ფოლადის და ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1995	ევროკოდი 5: ხის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1996	ევროკოდი 6: ქვის/აგურის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1997	ევროკოდი 7: გეოტექნიკური დაპროექტება
EN 1998	ევროკოდი 8: სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1999	ევროკოდი 9: ალუმინის კონსტრუქციების დაპროექტება

ევროკოდები

ევროკოდები ამომწურავად მოიცავს კონსტრუქციების დაპროექტების საფუძველებს, კონსტრუქციებზე ზემოქმედებებს, შენობა-ნაგებობების დაპროექტების ყველა ძირითად სფეროს და კონსტრუქციებისა და მასალების ფართო სპექტრს.

2003 წლის 11 დეკემბერს ევროკომისიამ გამოსცა რეკომენდაცია (2003/887/EC) „ევროკოდების დანერგვისა და გამოყენების შესახებ სამშენებლო სამუშაოებისათვის და სამშენებლო მასალებისათვის“.

რატომ უნდა დავნერგოთ ევროკოდები?

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) აღიარებს ევროკოდებს, როგორც რეფერენტულ დოკუმენტს შემდეგი მიზნებისათვის:

- შენობებისა და ნაგებობების შესაბამისობის დასამტკიცებლად იმ არსებულ მოთხოვნებთან, რომელსაც სამშენებლო პროდუქციის დირექტივა ითვალისწინებს (საბჭოს დირექტივა 89/106/EEC), კერძოდ შემდეგ მოთხოვნებთან:
 1. მექანიკური სიმტკიცე და სტაბილურობა და ხანძრის დროს უსაფრთხოება;
- სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებისა და შესაბამისი საინჟინრო მომსახურების კონტრაქტებისთვის სპეციფიკაციების შექმნის საფუძველად დადება;
- ჩარჩო სამშენებლო პროდუქციისათვის ჰარმონიზებული ტექნიკური სპეციფიკაციების შექმნისათვის.

კონსტრუქციების დაპროექტებისათვის ევროკოდები არის ტექნიკურად ყველაზე თანამედროვე კრებული მსოფლიოში. ის უზრუნველყოფს დაპროექტების მეთოდებს, რომელთა შემუშავება მოხდა სრულიად გამჭვირვალედ და ხელს უწყობს ინოვაციებს კონსტრუქციების დაპროექტებაში.

ევროკოდები შესაძლებლობას იძლევა სამშენებლო პროდუქციისა და სამშენებლო მომსახურების ექპორტის როგორც ევროპაში, ისე მსოფლიო ბაზარზე.


სტრატეგიული მიდგომა

ევროკოდების წარმატებული დანერგვისათვის აუცილებელია ერთიანი ძალისხმევა და მჭიდრო თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებს შორის, კერძოდ, ადგილობრივი მთავრობის, ადგილობრივ სტანდარტიზაციის

ორგანოებს, ტექნიკურ და პროფესიულ ასოციაციებს, აკადემიებსა და სამშენებლო ინდუსტრიას შორის.

დანერგვის სამუშაო პროგრამა ითვალისწინებს სტრატეგიულ მიდგომას შემდეგი საკითხებისადმი:

- ევროკოდების მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი გამოყენებისაგან მიღებული სარგებელი;
- დანერგვის პოლიტიკა და მარეგულირებელი ორგანოს დანიშნულება;
- ტექნიკური მასალა და ზეგავლენა პროფესიაზე, მკვლევარებზე და აკადემიაზე;
- ევროკოდების ექსპერტების მიერ პოტენციური ნაციონალური ტრენინგებისათვის ცოდნის გადაცემა;
- სახელმძღვანელო მასალების დროული ხელმისაწვდომობა.



EN ევროკოდის ნაწილის ნაციონალური დანერგვა

განრიგი - ნაციონალური ორგანოებისა და ნაციონალური სტანდარტიზაციის ორგანოების მოვალეობანი

როდესაც CEN-ის მიერ ევროკოდის ნაწილი გახდება ხელმისაწვდომი, ნაციონალურმა ორგანოებმა და ნაციონალური სტანდარტიზაციის ორგანოებმა უნდა განახორციელონ შემდეგი ქმედებები:

- ევროკოდების ნაწილის სახელმწიფო ენაზე თარგმნა (თარგმნის პერიოდი- მაქსიმუმ 1 წელი);
- ქვეყანაში ნაციონალურად განსაზღვრული პარამეტრების დაწესება (ნაციონალური სტანდარტიზაციის პერიოდი- მაქსიმუმ 2 წელი);
- ეროვნული სტანდარტისა და ეროვნული დანართის გამოცემა;
- ნაციონალური დებულებების ადაპტირება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ქვეყანაში ევროკოდების ნაწილის გამოყენება;
- წინააღმდეგობაში მყოფი ყველა ეროვნული სტანდარტის ამოღება;
- ევროკოდების სწავლებისათვის ხელის შეწყობა

თანაარსებობის პერიოდში (მაქსიმუმ 3 წელი) შესაძლებელია ევროკოდის ნაწილის გამოყენება, ასევე შესაძლებელია არსებული ეროვნული სტანდარტების გამოყენება.

სამშენებლო პროფესიის წარმომადგენელთა სწავლება

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ევროკოდების კომპეტენტური გამოყენება, წევრი სახელმწიფოები, ნაციონალური სტანდარტიზაციის ორგანოები, სამშენებლო ინდუსტრიის წარმომადგენლები მზად უნდა იყვნენ მათი გამოყენებისათვის. ამისათვის საჭიროა ვრცელი და გრძელვადიანი სწავლება.

ერთ-ერთი სახელმძღვანელო ფურცლის თანახმად (სახელმძღვანელო ფურცელი L) პერსონალის სწავლება ნაციონალურ ორგანოებთან და ნაციონალური სტანდარტების ორგანოებთან თანამშრომლობით - სამშენებლო ინდუსტრიის პასუხისმგებლობის სფეროს წარმოადგენს.

საუნივერსიტეტო განათლება

იმათვის, ვისაც აქვს საუნივერსიტეტო განათლება სამშენებლო დარგში, ევროკოდებით დაპროექტება იქნება ნორმა და დამჭირავებელი მოითხოვს ახალი თანამშრომლებისაგან უკანასკნელი მიღწევების ცოდნას.

ეროვნული სტანდარტებიდან ევროკოდებზე გადასვლის აუცილებლობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტებმა და ტექნიკურმა კოლეჯებმა უნდა მოახდინონ ადაპტირება სასწავლო კურსებში.

განათლება მოიცავს სასწავლო გეგმას, პროგრამულ უზრუნველყოფას, სახელმძღვანელო წიგნებს, გზამკვლევს სტუდენტებისათვის, ევროკოდების პრინციპებისა და ნორმების საბაზისო ინფორმაციას.

სახელმძღვანელო მასალა

ევროკოდების დანერგვის ხელშეწყობისათვის აუცილებელია სახელმძღვანელო მასალის გავრცელება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში. ასეთი მასალა შეიძლება მოიცავდეს:

- უნივერსალურ / მრავალმიზნობრივ ადვილად გასაგებ ბუკლეტებს;
- დანერგვის დამხმარე საშუალებებს / სახელმძღვანელოებს;
- გზამკვლევებს დამუშავებული მაგალითებით;
- საბაზისო დოკუმენტაციას ევროკოდებისათვის და ეროვნული დანართისათვის;
- სწავლებისა და დაპროექტების პროგრამულ უზრუნველყოფას.

დახმარების გაწევა კომპეტენტური ორგანოებისათვის და სპეციალისტებისათვის შესაძლებელია ეროვნულ დონეზე შემდეგი საშუალებებით:

- განათლებით, როგორც ხანგრძლივი პროფესიული ტრენინგებით, ასევე საუნივერსიტეტო განათლებით;
- ვებ-საიტებით;
- დანერგვის პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციით;
- დამპროექტებლების სახელმძღვანელოებითა და ცნობარებით;
- პროგრამული უზრუნველყოფით.

ევროკომისიის მხარდაჭერა

ევროკოდების გამოყენებაში ცნობიერების ამაღლებისათვის და სწავლების ხელშეწყობისათვის ევროკომისია მხარს უჭერს:

- ახალი წევრი სახელმწიფოსა და წევრობის კანდიდატი ქვეყნის მხარდაჭერით რეგიონალური სასწავლო ვორქშოპების გაადვილებას;
- ცნობიერების ასამაღლებელი მასალის გამოცემას (*მაგ. ფურცლები, ბუკლეტები და ა.შ.*);
- დამხმარე სახელმძღვანელოების, დაპროექტების დამხმარე საშუალებების მოგროვებასა და კლასიფიცირებას;
- ნაციონალური მასალის შემუშავების გაადვილებას;
- წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციისა და სახელმძღვანელო მასალის გაცვლის ხელის შეწყობას.

გაერთიანებულმა კვლევითმა ცენტრმა, საწარმოსა და ინდუსტრიის გენერალურ დირექტორატთან ერთად ინტერნეტში ატვირთა ევროკომისიის ვებ-გვერდი, რომელიც არის სასწავლო და ხელისშემწყობი ინფორმაციის გავრცელების საშუალება.



დამატებითი ინფორმაციისათვის

სახელმძღვანელო ფურცელი L (სამშენებლო პროდუქციის დირექტივის გათვალისწინებით 89 / 106 / EEC): ევროკოდების დანერგვა და გამოყენება

ევროკოდები: <http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>

DG ENTR: <http://ec.europa.eu/enterprise/construction>

CEN: www.cen.eu

<http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>

ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია ევროკოდების შესახებ, კერძოდ სტანდარტიზაციისა და ატესტაციის ევროპული სისტემის, ასევე დანერგვისა და გამოყენების საკითხების, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ევროკოდების შემდგომი განვითარების შესახებ.

მოცემულია ევროკოდების მთავარი გამოცემები, რომელთა უმრავლესობის ჩამოტვირთვა შესაძლებელია. ევროკოდებთან დაკავშირებული ინფორმაციის, სემინარების და სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.



GD წარმოებისა და ინდუსტრიის
გაერთიანებული კვლევითი ცენტრი

